გაკვეთილი #2: რა არის დაზოგვა?

50 წთ

ამ გაკვეთილზე მოსწავლეები იმსჯელებენ საჭიროებასა და სუსტვილებს შორის სხვაობაზე, დაფიქრდებიან ფინანსუს მიზნებზე და დაზოგვაზე - როგორც ფინანსური მიზნების მიღწევის გზაზე.

გაკვეთილის მიზნები

- მოსწავლეები განასხვავებენ „მინდას“ და „მჭირდებას“;
- მოსწავლეები დაფიქრდებიან მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნებზე;
- მოსწავლეები გააცნობიერებენ დაზოგვის მნიშვნელობას

საჭირო მასალები

- დანართი - სურვილებისა და საჭიროებების ბარათები;
- დანართი - კალათის ნიმუში;
- კომიქსი - დაგროვების ამბავი;
- დანართი - გოჭი ყულაბა;
- მაკრატლები, წებოები

მომზადება

- წინასწარ ამობეჭდეთ და გამოჭერით სურვილების და საჭიროებების ბარათები დანართიდან, ასევე ამობეჭდეთ და გამოჭერით კალათის შაბლონებიც.
- წინასწარ ამობეჭდეთ კომიქსის - „დაგროვების ამბავის“ ელექტრონული ვერსია;
- ამობეჭდეთ გოჭი ყულაბის შაბლონი დანართიდან A3 ფორმატით, თითოეული მოსწავლისთვის

სასარგებლო რესურსები

- ფინანსური განათლების სახელმძღვანელო
- კომიქსი - დაგროვების ამბავი
- გოჭი ყულაბა

5 წთ

მასალა:
არა

დისკუსია - საჭიროებები და სურვილები

- დასვით მოსწავლეები წრეზე და სთხოვეთ, გაიხსენონ წინა გაკვეთილიდან, რა პროდუქტსა და მომსახურებას ყიდულობენ ადამიანები ფულით. ეცადეთ, სწრაფად მიიღოთ პასუხები ბევრი მოსწავლისგან. ამის შემდეგ ჰკითხეთ მათ, თქვენი აზრით, აქედან რომელია ცხოვრებისთვის აუცილებელი? მოისმინეთ რამდენიმე პასუხი, შემდეგ კი ჰკითხეთ, დასახელებული ნივთებიდან თუ მომსახურებებიდან, რომელი არის არა აუცილებელი, მაგრამ სასურველი? კვლავ მოისმინეთ რამდენიმე პასუხი, შემდეგ კი აუხსენით მოსწავლეებს განსხვავება საჭიროებებსა და სურვილებს შორის.

დამატებითი ინფორმაცია:

ჩვენს ცხოვრებაში ძალიან ბევრი რამ შეიძლება გვინდოდეს, რის საყიდლადაც ფული არის საჭირო. თუმცა ყოველთვის ყველაფერს ვერ ვიყიდით, რადგან ფული შეზღუდული რაოდენობით არის. ანუ არ არის საკმარისი ყველაფრის საყიდლად. ამიტომ ჩვენ გვიწევს არჩევანის გაკეთება. ანუ გადაწყვეტილების მიღება, თუ რა ვიყიდოთ, რა რაზე ვთქვათ უარი.

არჩევანის გაკეთებაში საჭიროებებსა და სურვილებს შორის განსხვავების დანახვაც დაგვეხმარება. **საჭიროება** არის ის, რაც აუცილებელია ცხოვრების ნორმალური პირობების შესანარჩუნებლად, მაგალითად, თავშესაფარი, საკვები, ტანსაცმელი, ტრანსპორტი, განათლება, სამედიცინო მომსახურება და ა.შ. **სურვილი** კი არის ის, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელი არ არის, თუმცა გვსიამოვნებს და ბედნიერებას გვანიჭებს, მაგალითად, გართობა, ტკბილეული, კომპიუტერული თამაში და ა.შ. ანუ საჭიროება არის ის, რაც აუცილებლად უნდა გვქონდეს, ხოლო სურვილი არის ის, რაც კარგი იქნებოდა გვქონდეს.

სურვილებისა და საჭიროებების განსხვავება არ ნიშნავს იმას, რომ სურვილებზე უარი უნდა ვთქვათ, უბრალოდ, როდესაც ჩვენი ფული შეზღუდულია, პირველ რიგში ის უნდა დავხარჯოთ საჭიროებებზე და შემდეგ კი - სურვილებზე.

10 წთ

მასალა:

დანართი - სურვილებისა და საჭიროებების ბარათები,

დანართი - კალათის ნიმუში.

სავარჯიშო - „მინდა თუ მჭირდება?“

- წინასწარ ამობეჭდეთ და გამოჭერით კალათების ნიმუშები და სურვილებისა და საჭიროებების ბარათები დანართებიდან.
- ბარათები გაშალეთ რამდენიმე შეერთებულ მერხზე ან იატაკზე. შუაში დააწყვეთ ორივე კალათა - „საჭიროებების“ და „სურვილების“.
- მოუხმეთ მოსწავლეებს მერხის ირგვლივ წრეზე და უთხარით, რომ ახლა ითამაშებენ „მინდა თუ მჭირდება“-ს. ამისთვის ერთი რომელიმე მოსწავლე აიღებს მასთან ახლოს მდებარე ბარათს, ხმამაღლა წარმოსთქვამს მასზე გამოსახული ნივთის სახელს და ამბობს თავის აზრს - სურვილია თუ საჭიროება, თუ კლასიდან ვინმე არ ეთანხმება - გამოთქვამს თავის მოსაზრებას, თუ რატომ არ ეთანხმება. ამის შემდეგ კი მოსწავლე შესაბამის „კალათში“ ათავსებს ბარათს.

- შემდეგ სხვა მოსწავლე აიღებს ახალ ბარათს და ა.შ., სანამ ყველა ბარათი არ გადანაწილდება შესაბამის კალათში. შესაძლებელია შემდეგ ეს კალათები ზედ მიმაგრებული ბარათებით დატოვოთ თვალსაჩინოებად საკლასო ოთახში.

10 წთ

დისკუსია - ფინანსური მიზნები და დაზოგვა

მასალა:
ბურთი

- დასვით მოსწავლეები წრიულად და აუხსენით, რომ ახლა ფინანსურ მიზნებზე ისაუბრებთ. უთხარით, რომ თქვენ დაუსვამთ კითხვებს, მათ კი ამ დროს ერთმანეთს ბურთი უნდა გადაუგდონ. უპასუხებს ის მოსწავლე, რომლის ხელშიც აღმოჩნდება ბურთი. ეცადეთ, ერთ კითხვაზე რამდენიმე მოსწავლისგან მიიღოთ პასუხი.
- **კითხვები დისკუსიისთვის:** რა არის მიზანი? თქვენ თუ გაქვთ რაიმე კონკრეტული მიზანი? არის თუ არა ეს მიზანი დაკავშირებული ფულთან? (ანუ გაქვთ თუ არა ფინანსური მიზანი?) თუ ინახავთ, ზოგავთ ფულს ამ მიზნის მისაღწევად? თუ კი, როგორ ზოგავთ ფულს? სად ინახავენ ადამიანები საკუთარ დანაზოგს? რაში შეიძლება დაგვეხმაროს დანაზოგი?

დამატებითი ინფორმაცია:

მიზანი არის ის, რისი მიღწევაც, გაკეთება გვინდა. მიზანი შეიძლება იყოს ფეხბურთის ბურთის ყიდვა, დაბადების დღის წვეულების მოწყობა, კარგ უნივერსიტეტში სწავლა, საზღვარგარეთ მოგზაურობა და ა.შ. ძალიან ხშირად, ეს მიზნები დაკავშირებულია ფულთან, ანუ მათ მისაღწევად ფული გვჭირდება, ამიტომ ვეძახით ასეთ მიზნებს **ფინანსურ მიზნებს.**

ფინანსური მიზანი შეიძლება იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანიც. **მოკლევადიანი მიზნების** მიღწევა შედარებით ნაკლებ დროშია შესაძლებელი და ნაკლები თანხა სჭირდება, ასეთია, მაგალითად ყურსასმენების შეძენა. **გრძელვადიანი მიზნების** მიღწევას კი მეტი დრო და თანხა სჭირდება, ასეთია, მაგალითად, სმარტფონის შეძენა, სამოგზაუროდ წასვლა და ა.შ.

იმისთვის, რომ მივაღწიოთ ჩვენს მიზნებს, აუცილებელია **დავზოგოთ ფული,** ანუ ჩვენი ფულიდან ყველაფერი კი არ დავხარჯოთ, არამედ რაღაც ნაწილი შევინახოთ და დავაგროვოთ. წინა გაკვეთილზე ვისწავლეთ, რომ ფული არის ის, რითიც ვყიდულობთ ნივთებს, ანუ ფული არის გაცვლის საშუალება. ასევე შეიძლება, რომ ფული, რომელიც დღეს გვაქვს, შევინახოთ, ანუ დავზოგოთ და მომავალში ვიყიდოთ რამე.

დაზოგვა არის ფულის გადადება, დაგროვება სამომავლოდ, რაიმე მიზნისთვის.

ჩვენ მიერ დაზოგილი ფული, ანუ დანაზოგი შეიძლება შევინახოთ სახლში - ყულაბაში ან ბანკში. **ბანკი** ისეთი დაწესებულებაა, რომელიც ადამიანებისგან იღებს დანაზოგს და ინახავს გარკვეული დროით. ამ დროის გასვლის შემდეგ კი ბანკი ამ ადამიანს უკან უბრუნებს არამარტო დანაზოგს, არამედ დამატებით ფულს, ანუ სარგებელსაც. ეს იმიტომ ხდება, რომ ბანკი ამ ფულს შემდეგ სხვა ადამიანებზე გაასესხებს და თავად ამ ადამიანებისგან მიიღებს სარგებელს.

რადგან როდესაც ადამიანი იღებს ვალს, ანუ **სესხს,** იგივე **კრედიტს** ბანკისგან, შემდეგ ეს თანხა აუცილებლად უკან უნდა დაუბრუნოს ბანკს და დამატებით მას სარგებელიც გადაუხადოს.

დანაზოგი გვეხმარება არამარტო მივაღწიოთ ჩვენს მიზნებს, არამედ ფინანსურად მზად ვიყოთ გაუთვალისწინებელი მოვლენებისთვისაც, რომელიც მოულოდნელ დამატებით ხარჯებს გვიჩენს. მაგალითად, თუ გაგვიფუჭდა ტექნიკა და შეკეთება დაგვჭირდა, ან თუ ავად გავხდით და მკურნალობა დაგვჭირდა და ა.შ.

20 წთ

● ხმამაღლა კითხვა - დაგროვების ამბავი

მასალა:

ამობეჭდილი კომიქსი - დაგროვების ამბავი

- წინასწარ ამობეჭდეთ კომიქსი - დაგროვების ამბავი.
- მოუხმეთ მოსწავლეებს თქვენთან და სთხოვეთ, კომფორტულად დასხდნენ, რადგან ახლა კითხვის დრო გექნებათ.
- წაუკითხეთ მოსწავლეებს კომიქსი - დაგროვების ამბავი.
- ამბავის მოსმენის შემდეგ დაუსვით მოსწავლეებს კითხვები: რა იყო ჭიანჭველების ქცევაში საინტერესო? რატომ აგროვებდნენ ჭიანჭველები სხვადასხვა რამეს? რისთვის და სად აგროვებდა ფულს თამთა? რა დადებითი მხარე აქვს ყულაბაში ფულის დაგროვებას? რა დადებითი მხარე აქვს ბანკში ფულის დაგროვებას? თქვენ რისთვის გინდათ დააგროვოთ ფული?

5 წთ

● შეჯამება

მასალა:

თითოეული მოსწავლისთვის

გოჭი ყულაბის შაბლონი,

მაკრატელი, წებო

- წინასწარ ამობეჭდეთ გოჭი ყულაბის შაბლონი A3 ფორმატით თითოეული მოსწავლისთვის. დაურიგეთ მოსწავლეებს გამოსაჭრელი ყულაბები, მაკრატლები და წებოები.
- უთხარით მოსწავლეებს, რომ ახლა თავად გააკეთებენ ყულაბას. ამისთვის, მათ უნდა გამოჭრან ფორმა უწყვეტი ხაზის გასწვრივ, გადაკეცონ ფურცელი წყვეტილ ხაზებზე, წაუსვან წებო იმ ადგილას, სადაც აწერია წებო და შეაწებონ. პროცესში კი მოსწავლეებმა უნდა იფიქრონ თავიანთ მიზანზე, რისთვისაც დაზოგავდნენ თანხას. გამზადებული ყულაბები კი შეუძლიათ სახლებში წაიღონ და დაიწყონ დაზოგვა.